

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ემ-ერ ჩემიკალ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2012 წლის 20 აპრილს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 401970051, თბილისი, ვაკის რაიონი, წყნეთის გზატკეცილი, №23ბ, I სართული, ბინა 14 . კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელია ირანის მოქალაქე ფიზიკური პირი, დავოუდ ვალი ზადეკ (პ.ნ.01991004063) - 100%, დირექტორები დავოუდ ვალი ზადეკ (პ.ნ.01991004063) და თათია გორგოძე, (პ/ნ 01005035379).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ქიმიური მასალების იმპორტ-ექსპორტი, რეალიზაცია.

1.4. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს კომერციულ საქმიანობის მიმდევარი შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია.

სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს

ეროვნული ბანკის (სეზ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალებების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალებების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

ვ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა - 4-5 წელი;

ავტო და ოფისის აღჭურვილობა - 5-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%; სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის ამორტიზაციისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 15%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა

ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2018-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6468 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	2020	301858
ლარი საბანკო ანგარიშებზე	85485	50451
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	205	169
ევროები საბანკო ანგარიშებზე		
ლარი სხვა საბანკო ანგარიშებზე	0	
სულ:	87710	352478

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები რეზიდენტი პირების მიმართ	579896	852523
სავაჭრო მოთხოვნები არარეზიდენტი პირების მიმართ	1483122	1570420
სულ:	2063019	2422943

3.3. მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	0	
სულ:	0	

3.4. გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1102357	1096326
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები		
სულ:	1102360	1088132

3.5. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	408943	196892
საწვავ-საცხები მასალები		
სულ:	408943	196892

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
კავშირგაბმულობა, ოფისის აღჭურვილობა და კომპ. ტექნიკა	12174	11152
ავეჯი და ინვენტარი	3668	2412
სატრანსპორტო საშუალებები	62985	13539
სხვა ძირითადი საშუალებები	1211	726
სულ:	80038	27829

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 31650 ლარი;

2019 წლის ბოლოს - 36704 ლარი.

3.7. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
პროგრამული უზრუნველყოფა	664	442
სულ:	664	885

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 442 ლარი;

2019 წლის ბოლოს - 664 ლარი.

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	112946	67995
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	3067555	3863965
სულ:	3180501	3931960

3.9. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
„თიბისი ბანკის“ სესხი (USD)	749448	860310
სულ:	749448	860310

3.10. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	189905	-787
სულ:	189905	-787

3.11. სხვა მიმდინარე ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	34877	330
სულ:	34818	330

3.12. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი		
ზარალი	-412001	-694903
სულ:	-412001	-694903

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2018-2019 წლების მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2019 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.13. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2018-2019 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა ქიმიური მასალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.14. მიწოდების ხარჯები:

		2018 წელი	2019 წელი
7310	რეკლამის ხარჯები	3390	0
7340	შპს პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯები	3170	7077
7390	მიწოდების სხვა ხარჯები	2379	8771
	სულ:	8938	15848

3.15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

		2018 წელი	2019 წელი
7410	შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	185137	148325
7415	საპენსიო ფონდის ხარჯი	0	2342
7420	საიჯარო ქირა	68162	68517
7422	ელექტროენერგიის ხარჯები	1943	26901
7423	გაზი და წყალი	2656	2856
7424	დასფთავება და ანალოგიური ხარჯები	78	100
7425	მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის ხარჯები	541	0
7426	საკანცელარიო ხარჯები	269	208
7427	კომპიუტერის ხარჯები	191	28
7430	კომუნიკაციის ხარჯები	4808	5097
7431	დაცვის ხარჯები	0	10102
7440	საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	3301	0
7450	საკონსულტაციო და ადვოკატის ხარჯები	30797	25439
7455	საერთო დანიშნულების ძირით. საშალებების ცვეთა	18449	14248
7456	საერთო დანიშნულების არამატ. აქტივების ამორტიზაცია	221	221
7465	საგადასახადო ხარჯები	597	537
7470	საბანკო ხარჯები (გარდა კონფერტაციისა)	55978	41786
7477	ხარჯები რომლებიც იბეგრება მოგების გადასახადით	6000	0
7481	ავტომაქსების რემონტის ხარჯები	138	0
7490	სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც გამოიქვითება	2258	460
	სულ:	381524	347166

3.16. არასაოპერაციო შემოსავლები:

		2018 წელი	2019 წელი
8180	დადებითი საკრსო სხვაობები	49814	137528
8190	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	8809	105
	სულ:	58623	137633

3.17. არასაოპერაციო ხარჯები:

		2018 წელი	2019 წელი
8210	საბროცენტო ხარჯები	29409	58534
8280	არყოფითი საკრსო სხვაობები	184717	343744
8290	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	3927	3395
	სულ:	218053	405674

3.18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წლის 1 იანვრიდან 27 სექტემბრამდე პერიოდში, რამე საყურადღებო მოვლენას კომპანიის საქმიანობაში ან მის გარშემო ადგილი არ ჰქონია.

3.19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

თათია გორგოძე

30.09.2020 წ.



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		
	01.01.2018	01.01.2019	01.01.2020
აქტივები			
მიმდინარე აქტივები, სულ:	3299157	3662028	4069426
ფულადი სახსრები	107274	87710	352478
მოკლევადიანი ინვესტიციები			
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1509503	2063018	2422943
მოთხოვნა პარტნიორის წინაშე კაპიტალის შევსებაზე	1088132	1102357	1096326
აგანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	6365		
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	587883	408943	196892
სასაქონლო-მატერიალური მარაგი			787
წინასწარ გადახდილი გადასახადები			
მისაღები პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი მოთხოვნები			
სხვა მიმდინარე აქტივები			
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები	40848	80702	28271
გრძელვადიანი აქტივები, სულ:	39963	80038	27829
ძირითადი საშუალებები			
ბიოლოგიური აქტივები	885	664	442
არამატერიალური აქტივები			
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები			
გადაცადებული საგადასახადო აქტივი			
კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები			
საინვესტიციო ქონება და სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები			
სულ აქტივები:	3340005	3742730	4097697
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	3721387	4154731	4792600
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3459109	3180501	3931960
მოკლევადიანი სესხები	133798	749448	860310
საგადასახადო ვალდებულებები	25388	189905	
გასაცემი პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი ვალდებულებები	103092	34877	330
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები			
გასაყიდად გამიზნულ გრძელვ. აქტივ. დაკავშირ. ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:			
გრძელვადიანი სესხები			
სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები			
გადაცადებული საგადასახადო ვალდებულება			
გრძელვადიანი ანარიცხები			
გადაცადებული შემოსავალი			
სულ კაპიტალი:	-381382	-412001	-694903
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი			
საემისიო (დამატებითი) კაპიტალი			
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	-381382	-412001	-694903
რეზერვები და დაფინანსება			
არამაკონტროლებელი წილი			
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	3340005	3742730	4097697

დირექტორი:

თ. გორგოძე



	საანგარიშგებო პერიოდი	
	2018	2019
ამონაგები	8546565	4009312
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	8026233	3661159
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	520332	348153
სხვა საოპერაციო შემოსავლები	8809	105
სულ საოპერაციო შემოსავლები:	529141	348258
მიწოდების ხარჯები	8938	15848
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	381524	347166
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	2	136
სულ საოპერაციო ხარჯები:	390464	363150
ნეტო შემოსავალი ძირით. საშუალ. და არამატ. აქტივების გაყიდვიდან		
ფინანსური შემოსავლები		
მოგების წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებიდან		
მოგების წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ერთობლივი საქმიანობიდან		
დადებითი საკუთრ. სხვაობები	49814	137528
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	49814	137528
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:		
ზარალი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან	29409	58534
ფინანსური დანახარჯები		
ზარალის წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებიდან		
ზარალის წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ერთობლივი საქმიანობიდან		
საგადასახადო ჯარიმები და საურავები		3259
უარყოფითი საკუთრ. სხვაობები	188641	343744
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	218050	405538
სულ არასაოპერაციო ხარჯები:		
მოგება დაბეგვრამდე:	-29559	-282902
მოგების გადასახადის ხარჯი	1059	
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან:	-30618	-282902
მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	-30618	-282902
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	-30618	-282902
მათ შორის, მოგება ან ზარალი მისაკუთვნიებელი:	-30618	-282902
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე		
არამაკონტროლებელ წილზე		
ძირით. საშუალ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი		
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი		
მეკავშირე საწარმოს სხვა სრული შემოსავლის წილი		
სხვა სრული შემოსავალი		
სხვა სრულ შემოსავალთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯი		
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:		
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	-30618	-282902
მათ შორის, სრული შემოსავალი მისაკუთვნიებელი:	-30618	-282902
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე		
არამაკონტროლებელ წილებზე		

დირექტორი:

თ. გორგოძე



ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ერთეული: 1 GEL

	ანგარიშგებო პერიოდ	
		2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	0	4441457
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	0	111
ზარალის დასაფარავად (ზიანის ასანაზღაურებლად) მიღებული თანხები	0	0
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	0	-2996120
გაცემული შრომის ანაზღაურება	0	-176634
სამიწვინებო ხარჯების ანაზღაურება	0	0
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	0	0
განაცემები საქველმოქმედო მიზნით	0	0
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	0	-915157
გადახდილი მოგების გადასახადი	0	0
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	0	-82324
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	0	271333
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	0	0
ძირითადი საშუალებებისა და არამატ. აქტივების გასვლიდან შემოსულობანი	0	0
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა	0	0
გრძელვადიანი ინვესტიციების გასვლიდან შემოსულობანი	0	0
მიღებული პროცენტები	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
მიღებული მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან	0	0
სხვა შემოსულობანი / განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	0	0
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
შემოსულობანი აქციების ემისიისაგან / კაპიტალის ზრდისაგან	0	0
საკუთარი აქციების გამოსყიდვა ან გაცემები კაპიტალის შემცირების გამო	0	0
სესხების აღება	0	1703196
სესხების დაფარვა	0	-1643192
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა	0	0
გადახდილი პროცენტები	0	-58534
გადახდილი დივიდენდები	0	0
გადახდილი მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან	0	0
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	0	0
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	0	1470
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	0	-8035
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	0	264768
ფულადი სახსრები (იკავიგაღენტი) პერიოდის დასაწყისისათვის:	0	87710
ფულადი სახსრები (იკავიგაღენტი) პერიოდის ბოლოსათვის:	0	352478

დირექტორი:

